

ადგილობრივი ბაზარი და ფარმაცების ჩამონავაზე



საკვები პროდუქტები წარწერებით – „ორგანული“, „ბიო“ და „ეკოლოგიურად სუფთა“ მსოფლიოში ფუფუნებად ითვლება. ისინი სპეციალურ მაღაზიებში ან დიდ სუპერმარკეტებში, კონკრეტულად მათვის გამოყოფილ კუთხეში იყიდება. ასეთი პროდუქტის ფასი, ჩეულებრივ საკვებთან შედარებით, გაცილებით მაღალია. საქართველოში ამ ტიპის მარკეტები არ არსებობს. სამწუხაროდ, არც პროდუქტებზე მითითებული, რა როგორ არის მოყვანილი.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოთხოვნა კი ქართულ ბაზარზეც აქტუალურია. ერთი მხრივ, მომსარებელი ბიოლოგიურად სუფთა სურსათს ით-

ხოვს, მეორე მხრივ კი, ფერმერების ნაწილს, „აგროსერვის ცენტრისა“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების შემდეგ, აგროვადებისა და ტექნოლოგიების დაცვით მაღალი ხარისხის პროდუქტი მოჰყვავთ, თუმცა პრობლემას რეალიზაცია წარმოადგენს. მოთხოვნის მიუხედავად, პროდუქტის გაყიდვას ფერმერები ვერ ახერხებენ. ისინი ექსპორტირებულ საქონელს კონკურენციას ვერ უწევენ.

მე-2 გვერდი

სუბსიდირებული აგრძაზღვა

როგორ დავაზღვოთ მოსავალი სციქისგან

სტიქიური მოვლენები – სეტყვა, ქარიშხალი, გვალვა თუ ყინვა ის საფრთხეა, რომელიც ფერმერებს, დაუზღვეველი მოსავლის გამო, მუდმივი დაუცველობისა და უიმედობის განცდას უზრენს. მთელი წლის თავდაუზოგავი შრომისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მიუხედავად, სტიქია ფერმერს მოსავალსა და მთელი წლის სარგოს უნადგურებს. როგორ დავიცვათ თავი ამ საფრთხისგან? განვითარებულ ქვეყნებში ფერმერები სადაზღვევო კომპანიებს მიმართავენ, სახელმწიფოს ნაწილობრივი სუბსიდირებით მოსავალს აზღვევენ და სტიქის შემთხვევაში, მიყენებულ ზარალს მათ სადაზღვევო კომპანია უნაზღაურებს.

საქართველოში კი, ჯერჯერობით, აგრძაზღვევის პრატიკია დამკვიდრებული არაა. მისი წილი, დიდი სადაზღვევო კომპანიების პროდუქტების პაკეტის ერთი პროცენტია, ანუ ძალიან მცირე. იმისათვის, რომ აგრძაზღვევის წილი გაიზარდოს და



ფერმერებმა თავიანთი მოსავლის დაცვა მოახერხონ, სახელმწიფო 2015 წელს აგრძაზღვევის სტრატეგია შეიმუშავა.

მე-2 გვერდი

მოსახლეობისთვის
„შეღავათიანი აგროპროდიცის
აროეპი“ პილევ უფრო
ხელმისაწვდომი იქნება

„შეღავათიანი აგროერედიტის პროექტი“ საკართველოში 2013 წლიდან მოქმედებს. დღემდე, პროექტის ფარგლებში, ფერმერებსა და აგრობიზნესით დაინტერესებულ პირებზე ბანკებიდან 860 მილიონ ლარზე მეტი იდენტის 23 ათასი სესხი გაიცა. ახლა კი, ამ კრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, პროექტში ცვლილებები შევიდა, რომელთა საშუალებითაც სესხის გამოტანა უკვე ლარშია შესაძლებელი.

„აგროსერვის ცენტრი“
ბიოროგიულის წარმოებას გეგმავს

„აგროსერვის ცენტრი“ ბიოპროდუქციის წარმოებაზე გადასვლას გეგმავს. ამ მიზნით ორგანიზაციამ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელგანა“-ს წარმომადგენლები მოიწვია, რომლებიც „აგროსერვის ცენტრის“ ვაზის, მარწყვის, ხეხილისა და პამიდვრის სასათბურე მეურნეობებში, პროდუქციის მოყვანის მეთოდებს გაეცნენ.

აგრძაზღვევის
განახლებული პროგრამა

აგრძაზღვევის საპილოტე პროგრამაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა და რომელიც გარკვეული პირობების გათვალისწინებით მთავრობის მიერ სუბსიდირებას მოიაზრებს, ცვლილებები შევიდა. 2015 წელს აგრძაზღვევის საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარით განისაზღვრა.

რჩევაში მეურნეობების
„აგროსერვის ცენტრისგან“

მეფრინველების განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მსოფლიოში ხორცის წარმოების 30% სწორედ ამ დარგზე მოდის. ყველაზე ეკონომიკური და ეფექტური მეთოდია ქათმის მოშენება და ნინილის გამოჩეკა ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული კვერცხით.

აგროსერვის ცენტრის
კომარკაციის მაღალმომავალი
აჯარაში უმასაინდლა

მაღალმომავალი აჭარაში მოქმედ კომპერატივებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ACF“-ის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისა და კოოპერატივების წარმომადგენლები ესტუმრნენ.

აღგილობრივი ბაზარი და ფერმერების გამოცვაბი

რატომ დგას მომხმარებელსა და ფერმერს შორის კომუნიკაციის პრობლემა? რა ინვენტ ამ დისბალანსს და რა უნდა გაკეთდეს იმის-თვის, რომ ფერმერებმა პროდუქცია გაყიდონ? ამ მეტად აქტუალურ საკითხებზე, გთავაზობთ ინტერვიუს „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორთან, გორგა ბერიძესთან.

— ფერმერები ხშირად საუბრობენ ხარისხის პროდუქციის რეალიზაციის პრობლემაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ამ ტიპის დისპალანსი მოთხოვნასა და რეალიზაციას შორის?

— წარმოუდგენელია მოყვანო ხარისხის პროდუქცია და მისი რეალიზაცია ვერ მოახერხო. „აგროსერვის ცენტრის“ მაგალითზე ვაჩვენეთ ფერმერებს, რომ სადემონსტრაციო სათბურებში მოყვანილი მაღალი ხარისხის პროდუქციის რეალიზაცია სრულად მოხდა. აჭარაში ბაზარი საკმაოდ დიდია. აქ არის რესტორნები, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროები და კვების ობიექტები, რომლებსაც ხარისხზე აქვთ პრეტენზია. მაშინ რატომ ვერ ყიდის ფერმერი მის პროდუქტს? იმიტომ, რომ სისტემა არ მუშაობს. სიმარტივისთვის, პუნქტობრივად ჩამოვაყალიბებდ: როგორც აღნიშნე, აჭარაში ძალიან ბევრი ორგანიზაცია და სასტუმროა, რომელიც უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს ეძებს იმისთვის, რომ მომხმარებელს კონკრეტული კერძი და მომსახურება შესთავაზოს. ეს კომპანიები ცდილობენ იპოვონ პროდუქციის მიმწოდებლები. ისინი, ხარისხის პროდუქტთან ერთად, აუცილებლად დიდი რაოდენობის პარტიას და სისტემატურად მიწოდების გარანტიებს ითხოვენ. სწორედ აქ იჩენ თავს პირველი პროდუქტი — ის რომ ადგილობრივი ფერმერი არ მუშაობს სეგმენტი-რებულად, არ აქვს ბიზნესგათვლა და ის ყოველნლიურად, არათანმიმ-



დევრულად, სხვადასხვა პროდუქციის მოყვანას ცდილობს, ვერ აქმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას. დიდი კომპანია ხელშეკრულებას მასთან ფიზიკურად ვერ აფორმებს, რადგან ვერც რაოდენობას და ვერც სტაბილურობას ადგილობრივი ფერმერი მას ვერ სთავაზობს. შეიძლება დღეს უმაღლესი ხარისხის მნვანილი, კიტრი ან პამიდორი მიუტანოს 5-ვარსკვლავიან სასტუმროს, თუმცა ხვალ იგივე პროდუქტი ფერმერს შეიძლება აღარ ჰქონდეს. მოკლედ, სტაბილურობა არ არის. შესაბამისად, დიდი კომპანია ექსპორტირებს უკავშირდება და ფერმერი ამ სეგმენტს ეთიშება.

— სასტუმროები, რესტორნები და სხვა კვების ობიექტები ბაზრის დიდი სეგმენტია, თუმცა ჩვენ არ გვისაუბრა რიგით მომხმარებელზე, რომელიც ბაზარში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს ეძებს.

— სტაბილურობის მოთხოვნა აბსოლუტურად ყველა ტიპის მომხმარებელს აქვს, სულერთია ორგანიზაცია იქნება თუ მოქალაქე. თუ ადამიანმა ერთხელ იყიდა შენი პროდუქტი, იმას სულ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ეს პროდუქტი მისთვის ნებისმიერ დროს იქნება

ხელმისაწვდომი. ეს ბაზრის პრინციპია. ევროკავშირის ბაზარზე რომ შეხვიდე, მთავარი მოთხოვნა ხარისხთან და შეფუთვასთან ერთად, კონკრეტული პროდუქტის ფიქსირებული რაოდენობის სტაბილურად შეტანაა. ამის გარეშე პროდუქტს იქ ვერ შეიტან, უფლებას არ მოგცემენ. ამით მომხმარებლის უფლებებს იცავენ.

— როგორ უნდა მოიქცეს ფერმერი, რომელმაც ხარჯი გაწია, მოყვანა ხარისხის პროდუქტი, მაგრამ ვერ გაყიდა?

— პირველ რიგში ბაზარზე არსებული სისტემა უნდა დაირღვეს და მომხმარებელსა და ფერმერს შორის გადამყიდველების რგოლი ამოგარდეს. ანუ ფერმერი თავად უნდა იყოს მიმწოდებელი. როგორ უნდა მოხდეს ეს? რა თქმა უნდა ყველა ფერმერი, რომელიც მინასთან ან საქონელთან მუშაობს, ამას ვერ მოახერხებს, მას ბევრი საქმე აქვს. გამოსავალი კონკრეტიულების სისტემის ჩამოყალიბებაშია. ასეთი გაერთიანება ყველა იმ პრობლემას ჭრის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

პირველ რიგში პროდუქტის რაოდენობა — ჩვენ ვთქვით, რომ ბაზარზე პროდუქტია მომხმარებელმა სტაბილურად უნდა მიიღოს. იცით, რომ აჭარა მცირებინიანი რეგიონია, ამიტომ ერთ ფერმერს დიდი ოდენობის პროდუქტის მოყვანა არ შეუძლია. საუკეთესო გამოსავალია, ერთი სოფლის მაცხოვრებლები გაერთიანდებნ და გადაწყვიტონ კონკრეტული პროდუქტის მოყვანა. ამით რაოდენობის პრობლემა გადაიჭრება. მეორე პრობლემა სტაბილურობაა — კონკრეტივის წევრების სათბურებში, ან მიწებზე მოყვანილი პროდუქტის სისტემატურად მიწოდება კომპანიებისთვის ან ბაზარზე შეტანა აღარ იქნება პრობლემა, მთელი სოფლის ამ პროდუქტის მოყვანაზე იმუშავებს და მისი დეფიციტი არ შეიქმნება.

უმთავრესი საკითხი კი რეალიზაციაა — სხვადასხვა პროდუქტს რეა-

ლიზაციისთვის შეფუთვა ესაჭიროება. რძის პროდუქტის სპეციალური შემოწმება, ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სჭირდება. ყველას, ვისაც სახლში ძროხა ჰყავს ან მიწასთან მუშაობს, ბუნებრივია, ამ საკითხების მოსაგვარებლად არ საცალია. ამიტომაც, კოპერატივის შექმნა აქაც განმსაზღვრელია. ადვილია კოოპერატივიდან ერთი ადამიანის გამოყოფა, რომელიც სისტემატურად იმუშავებს ამ საკითხების მოგვარებაზე. კოოპერატივებს, როგორც წესი მეზობელი ფერმერები ქმნიან, რომლებიც ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ, ენდობიან და გაერთიანებით რეალიზაციის პრობლემასაც წყვეტენ. ეს, რა თქმა უნდა, ყველას ინტერესში შედის, რადგანაც იზრდება მათი შემოსავალიც. გადამყიდველი, რომელთანაც გლეხს ჩაქვს პროდუქტი სოფლიდან, იაფად იღებს მოსავალს. გლეხი იაფად ყიდის პროდუქტს, რადგან ეშინია ტრანსპორტირებისთვის განეული ხარჯის თანხა არ დაკარგოს, რითაც სარგებლობს გადამყიდველი. კოოპერატივის წევრი მოტივირებულია რაც შეიძლება კარგ ფასში გაყიდოს პროდუქტი, წინასარ მუშაობს პარტნიორების მოძიებაზე, ხელშეკრულებების გაფორმებაზე, მიწიდებაზე, შეფუთვაზე და ა.შ.

ქართულ პროდუქტიაზე არის მოთხოვნა, მთავარია ფერმერებმა თანმიმდევრული და არა სპონტანური ბიზნესპოლიტიკით დაიწყონ აზროვნება. ეს ეკრობამ უკვე გააკეთა და ჩვენ ვხედავთ შედეგს. განვითარებულ ქვეყნებში ფერმერთა გაერთიანდები, კოოპერატივები ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მოთამაშები არიან ქვეყნის ეკონომიკაში. რაც უფრო ადრე მივიღებთ ამ გამოწვევას, მით უფრო მაღალ დალაგდება სისტემა და აღდგება მოთხოვნა-მიწიდების ბალანსი.

მოსახლეობისთვის „შეღავათიანი აგროკარენტის პროექტი“ პილევ უფრო ხელმისაწვდომი იქნება

საქართველოს მთავრობამ „შეღავათიანი აგროკარენტის პროექტში“ ძირითადი და საბრუნავი სესხის ქვედა ზღვარი 12 000 აშშ დოლარის ნაცვლად 20 000 ლარით განსაზღვრა.

ამ გადაწყვეტილებით იმ ფერმერებს, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სანარმოებლად, თავიანთი საქმიანობის გასაფაროებლად ან რეალიზაციისთვის თანხით უზრუნველყოფა სჭირდებათ, ბანკიდან პროგრამის ფარგლებში, ყველაზე მცირე 20 000 ლარის გამოტანა შეეძლებათ, მისი საპროცენტო განაკვეთი კი, სხვადასხვა შემთხვევაში 3%, 2% ან 1% იქნება, ხშირ შემთხვევაში კი, 0 %-იანი სესხით ისარგებლებენ. ამ ცვლილებით, სესხის მინიმალური თანხის მოცულობა აღარ იქნება დამოკიდებუ-



ლი ლარის კურსის ცვლილებაზე, შესაბამისად, მოსახლეობისთვის „შეღავათიანი აგროკარენტის უფრო ხელმისაწვდომი იქნება.

კიდევ ერთი ცვლილება ღვინის მნარმოებელ კომპანიებს დააინტერესებს. 2014 წელს ყურძნის შესყიდვის მიზნით გაცემული სესხების ვადა 21 თვემდე გახანგრძლივდა. ეს სიახლე ხელს შეუწყობს ღვინის კომპანიებს საკუთარი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში და გაუზრდის პროდუქტის სარეალიზაციო დროს. „შეღავათიანი აგროკარენტის პროექტებს“, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 2013 წლიდან ახორციელებს.

სუბსიდირებული აგროდაზღვევა

როგორ დაცაზღვოთ მოსავალი სფიქცისგან

მიმდინარე წელს, ყველა ფერმერს, ვისაც სურვილი ექნება ისარგებლოს აგროდაზღვევით, სახელმწიფო დაეხმარება. მათ შეუძლიათ მოსავალი სტიქიური უბედურებებისგან თანადაფინანსებით დაზღვიონ. სახელმწიფოს წილი დაზღვევაში, ფერმერის მიერ დაზღვევაში გადასახდელი თანხის 60 % -ია.

ახლა კი, უფრო კონკრეტულად განვიხილოთ რა შეღავათი ექნება ფერმერს სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებით. მაგალითისთვის, თუ თქვენ გაქვთ 0.2-დან 5 ჰექტარამდე მინა, რომელზეც ნებისმიერი აგროპროდუქტი – კიტრი, პამიდორი, ხახვი, კარტოფილი და ა.შ მოგყავთ, მოყვანილი მოსავლის ღირებულება კი 10 000 ლარია, თქვენ მიმართავთ სადაზღვევო კომპანიას. აგროდაზ-

ში აცხადებენ, რომ მოსავალს 7 %-ში დააზღვევენ, პროცენტი თქვენი შემოსავლის ღირებულებიდან გამოითვლება. 10 000 ლარის შემთხვევაში ეს შვადასი ლარია, რომელსაც სადაზღვევო კომპანია ზარალისგან თავის აცილების სანაცვლოდ მოგთხოვთ. სწორედ ამ ნაწილში ერთვება სახელმწიფო და თქვენი გადასახდელი 700 ლარის 60 %-ს ფარავს. ამ კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში სახელმწიფო 420 ლარს გადაიხდის, თქვენ კი 280 ლარის გადახდა დაგჭირდებათ.

წელს აგროდაზღვევაში საქართველოს ბაზარზე მოქმედი ექვსი მსხვილი სადაზღვევო კომპანია ჩართული. თითოეული მათგანი დაზღვევის პროცენტის დაფარვის სხვადასხვა გეგმას შემოგთავაზებთ. როგორც წესი, დაზღვევის პროცენტის ის ნაწილი, რო-



ღვევის შემდეგ, სანერვიულო აღარ გექნებათ, რადგან თუ სეტყვა, ან სხვა სტიქია დააზიანებს თქვენს მოსავალს, სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი ადგილზე დაითვლის ზარალს და მას აგინაზღაურებთ.

მაგრამ დაზღვევისთვის ფერმერმა თანხა უნდა გადაიხადოს. კომპანიებს სხვადასხვაგვარი ტარიფები აქვთ. მაგალითად, თუ კომპანია-

მელსაც სახელმწიფო არ გიფარავთ, ერთიანად უნდა დაიფაროს (ზემოთ, მაგალითში მოყვანილი შემთხვევიდან, ეს თანხა 280 ლარია). თუ თანხა ხელზე არ გაქვთ, სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა ბანკებთან უპროცენტო განვადებას ან თანხის მას შემდეგ დაფარვას შემოგთავაზებენ, როცა მოსავლის რეალიზაციას შეძლებთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2014 წელს განახორციელა. საქართველოს მასშტაბით, საპილოტე პროგრამით 21 ათასზე მეტი პოლისი გაიცა, 150 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 34 სხვადასხვა კულტურა 19 ათას ჰა მინის ფართობზე დაიზღვა. დაზღვევა აჭარაშიც მოქმედებდა. რეგიონში რამდენიმე ათეულმა ფერმერმა, ძირითადად, ციტრუსი დააზღვია. გასულ წელს აქარაში სეტყვა მოვიდა და ფერმერების ნაწილმა დაზიანებული პროდუქტის სანაცვლოდ თანხა მიიღო. თუმცა იყო შეფერხებები. მაგალითად, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ზოგიერთმა ფერმერმა სეტყვის შემდგომ დაზიანებული პროდუქტი ბალიდან გაიტანა და მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანიას. ზარალის შესაფასებლად კი, აუცილებელია დაზღვევის წარმომადგენელმა ზარალის ოდნობა და მდგომარეობა ადგილზევე შეაფასოს. ამიტომაც, რიგ შემთხვევებში თანხა არ გაიცა.

სახელმწიფო აგროდაზღვევის დაფინანსებაში მხოლოდ 5 000 ჰა მინაზე დათესილ კულტურაზე შემოდის, თუ სხვადასხვა კულტურა ამაზე მეტი ფართობის მინის ნაკვეთზე გაქვთ დარგული, სახელმწიფო პროგრამაში ვერ მოხვდებით. ქვემო ზღვარი კი სამინისტროს არ აქვს დანესხებული. კოოპერატივს სახელმწიფო 50 000 ლარამდე თანხის პროდუქციას დაუზღვევს. ამ შემთხვევაში მინის ლიმიტი 200 ჰექტარია.

ფერმერს ან კოოპერატივის წევრს საშუალება აქვს გაცნოს ექვსი სადაზღვევო კომპანიის – „ჯიპია ჰოლდინგის“, „ალდაგის“, „აისი ჯგუფის“, „ირაოს“, „არდისა“ და „უნისონის“ შემოთავაზებას და მასთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის შემოთავაზებაც ხელსაყრელი იქნება მისთვის. დაზღვევის თანხის ნაწილის დაფინანსებას სახელმწიფო ექვსივე კომპანიასთან ახორციელებს. პროექტის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარია.

აგროდაზღვევის განახლებული პროგრამა

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამაში, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა და რომელიც, გარეული პირობების გათვალისწინებით, მთავრობის მიერ სუბსიდირებას მოიაზრებს, ცვლილებები შევიდა. 2015 წელს აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარით განისაზღვრა.



„მოგეხსენებათ, გასული წლის სექტემბერში დავიწყეთ აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი, რომელიც გათვალისწინებით იყო ერთ წელიწადზე. მნიშვნელოვანი იყო მისი შედეგების ანალიზი. აღმოჩნდა, რომ მან, მეტად მოკლე დროში – ჰარეტიკიულად სამ თვეში, მეტად პოზიტიური როლი შეასრულა. სწორედ ამიტომ, 2015 წლიდან, ჩვენ უკვე განახლებული მოდელით ვაგრძელებთ აგროდაზღვევის პროექტს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკების შორის არსებული შეთანხმების ფარგლებში დასრულდა კვლევის პირველი ეტაპი. BFC კონსალტინგისგან მივიღეთ გარკვეული რეკომენდაციები საქართველოში აგროდაზღვევის მოდელთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე გავითვალისწინეთ ცველად გაგრძელებას და მნიშვნელოვანი რეკომენდაცია განისაზღვრა ლიმიტები და ცველა ის პირობა, რომელიც აქამდე არ იყო სრულყოფილი. შესაბამისად, ჩვენ უკვე აგროდაზღვევის ახალი პროექტით შევუდგებით მუშაობას“, – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ.

სახელმწიფო სუბსიდირება წელს 60%-მდე განისაზღვრა. ზარალის შეფასების საერთო მეთოდი დაინერგა თითოეული კულტურის შესაბამისად, რაც მანამდე საერთოდ არ არსებოდა. კომპანიები პოლისების გაცემას აგროვადების შესაბამისად შეძლებენ. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სუბსიდირებას განახორციელებს პოლისების შემოწმების შემდეგ. აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა 2015 წლის 11 დეკემბრამდე გაგრძელდება.

„აგროსერვის ცენტრი“ ბიოპროდუქციის ნარმოებას გეგმავს

„აგროსერვის ცენტრი“ ბიოპროდუქციის წარმოებაზე გადასვლას გეგმავს. ამ მიზნით ორგანიზაციამ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს წარმომადგენლები მოიწვია, რომლებიც „აგროსერვის ცენტრის“ ვაზის, მარწვის, ხეხილისა და პამიდვრის სასათბურე მეურნეობები, პროდუქციის ექსპორტზე გადაიდებათ. ამის შემდეგ კი დაგენერება ტრენინგები „აგროსერვის ცენტრის“ აგრონომებისთვის თემაზე „ბიოპროდუქციის მოყვანის მეთოდების გაეცნენ“. ამის შემდეგ კი დაგენერება ტრენინგები „აგროსერვის ცენტრის“ აგრონომებისთვის თემაზე „ბიოპროდუქციის მოყვანის მეთოდების გაეცნენ“. ტრენინგების გავლის შემდეგ,

„აგროსერვის ცენტრის“ აგრონომები დაინტებენ ფერმერთა კონსულტირებას ბიომეურნეობებისა და ბიოპროდუქციის წარმოების შესახებ, რადგან ამ პროდუქციის წარმოება, გარდა მისი ეკოლოგიური სისუფთავისა, მომგებიანია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა პროდუქციის ექსპორტზე გადაიდება. ბიოპაზინი ერთადერთი ბაზარია მსოფლიოში, რომელიც ეკონომიკური კონკურენციას მოიწვია. ასეთი ტრენინგის შემდეგ კი დაგენერება ტრენინგები „აგროსერვის ცენტრის“ აგრონომებისთვის თემაზე „ბიოპროდუქციის მოყვანის მეთოდების გაეცნენ“. ასოციაცია „ელკანა“ ბიოპროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მასშტაბით ატარებს ტრენინგ-კონსულტაციებს. ის 900-




ზე მეტ წევრს აერთიანებს, მათ შორის: ფერმერთა ჯგუფებს, ასოციაციებს, კოოპერატივებს, საწარმოებს და სხვა.

რჩევაში გაფრინვალებას „ამონსარვის ცანცრისგან“

მეფრინველეობის განვითარებას
დღიდი მნიშვნელობა ენიჭება, რად-
გან მსოფლიოში ხორცის წარმოების
30% სწორედ ამ დარგზე მოდის.
ყველაზე ეკონომიკური და ეფექტუ-
რი მეთოდია ქათმის მოშენება და
ნინილის გამოჩეუა ადგილობრივი
ფერმების მიერ წარმოებული კვერ-
ცხით. თუ ამ დარგით დაინტერე-
სებულ პირს ჯიშის გაუმჯობესება
აქვს გამიზნული, მაშინ ეს პროცესი
შეძენილი კვერცხით უნდა მოხდეს,
რადგან ის რამდენიმეჯერ უფრო

იაფია. წინილების გამოჩეკა შესაძლებელია ნებისმიერ პერიოდში, როცა ფერმერს დასტირდება. ამისათვის შესაბამისი მოცულობის მინი ინკუბატორები უნდა შეიძინოს. ეს ხელს შეუწყობს მას, მიიღოს ავადმყოფობისგან დაცული და სასურველი ჯიშის ფრინველი, რაც მთავარია იაფად. ასეთი პერიოდის მიხოლუ არ-

ახლა პოპულარულია ძეხორცეული ჯიშის – ბროილერის მოშენება. საჭირო არაა ამ ფრინველის სპეციალური საჭმლით კვება. ამისთვის შეიძლება პრემიქსებისა და დაღერ-



ლილი სიმინდის გამოყენება, ხოლო
მეკვერცხული ჯიშის ფრინველის
მოსაშენებლად საჭიროა საკვების
დაბალანსება მინერალური და ვიტა-
მინიზირებული საკვებით. გამოჩეკი-
დან 3-5 დღის მანძილზე წინილა უნ-
და კვევებით მოხარული კვერცხით
ან ახალი უცხიმო ხაჭოთი, რომელ-
საც უნდა შევურიოთ სიმინდის ან
ხორბლის წვრილად დაფქვილი ღერ-
ლილი 1/3-ზე ან 1/5-ზე შეფარდებით.
5 დღის შემდეგ შეიძლება მივცეთ
სიმინდის, ხორბლისა და ქერის ღერ-
ლილის ნარევი. აგრეთვე ყურადღე-
ბა უნდა მიექცეს ვიტამინებით და
ცილებით დაბალანსებას. აუცილე-
ბელია ადრეულ ასაკში მივაჩვიოთ

30-40 %-მდე მწვანე მასას, წყალი
ეძლევათ ნებაზე.

ქათმის კვების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კალციუმით დაბალანსებას, რადგან ერთი ცალი კვერცხის ნაჭრების შესაქმნელად ქათამი ხარჯავს 2 გრამ კალციუმს და 0,1 გრამ ფოსფორს. ყოველი 100 გრამი საკვების მიღების დროს ქათამი იყენებს 200-300 მილიგრამ ნიკალს.

აუცილებელია ყურადღება მიექ-
ცეს ვეტერინარი სპეციალისტების
მითითებით შემუშავებული ვეტე-
რინარული, პროფილაქტიკური და
სამკურნალო ღონისძიებების ჩატა-
რებას.

აგროსერვის ცანცრმა პოლიტიკაზე ეაღადგითიან აფარაში უმასპინძლა

მაღალმთიან აჭარაში მოქმედ
კომპერატივებს საერთაშორისო
ორგანიზაცია „ACF“-ის, საქართვე-
ლოს სოფლის მეურნეობის სამინის-
ტროს საინფორმაციო-საკონსულ-
ტაციო სამსახურებისა და კომპე-
რატივების წარმომადგენლები ეს-
ტუმრნენ. აგროტურის ფარგლებში
სტუმრებმა ქედაში, სოფელ პირველ
მაისში კომპერატივ „პირველები“-ს
ვენახის სადემონსტრაციო ნაკვეთი,
სოფელ ოქტომბერში კომპერატივ
„გოდერინ“-ს საკალმახე მეურნეობა,
შუახევში მოცვის და სხალთაში კაკ-
ლის სადემონსტრაციო ნაკვეთები
მოინახულეს.

აჭარაში ტურს „აგროსერვის ცენტრის“ წარმომადგენლობა მას-პინძლობდა. საერთაშორისო ორგანიზაცია „ACF“ -ის ორგანიზებით რეგიონს 15-მდე კოოპერატივის წარმომადგენელი ეწვია. აგროტუ-



რის მიზანი აღმოსავლეთ და დასავ-
ლეთ საქართველოში მოქმედი კოო-
პერატივებისთვის აჭარის რეგიონ-

ში, სოფლის მეურნეობის დარგში
განხორციელებული პროექტების
გაცნობა იყო.

მაღალმთიან აჭარაში ასვლამ-
დე, 15 კოოპერატივის წარმომად-
გენლები ერთი დღით ადრე ქო-
ბულეთში „აგროსერვის ცენტრს“
ეწვივნენ. ისინი ორგანიზაციაში
მიმდინარე და განხორციელებულ
პროექტებს გაეცნენ. გარდა ამისა
ნახეს ვაზისა და ხეხილის სანერგე
და სასათბურე მეურნეობები, ასევე
ჩაქვის ციტრუსის სანერგეც მოინა-
ხულეს. „აღფრთოვანებული ვართ
მარწყვის სათბურებით, მაგრამ ყვე-
ლაზე საინტერესო მაინც მსხვილფე-
სა საქონლისთვის ბალახის მომყვა-
ნი ტექნოლოგია იყო. ეს სრულიად
განსხვავებული ფორმა მეურნეობის
განვითარებისთვის. ვნახეთ ხეხილის
გამოსამრობი ტექნოლოგიაც. მოკ-
ლედ, კარგი გამოცდილება შევიძი-
ნეთ, “ – ასე შეაფასეს „აგროსერვის
ცენტრში“ ვიზიტი კოოპერატივების
წარმომადგენლებმა.